



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბორითი

ბორითი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), მდ. ძირულის მარჯვ. ნაპირას, მდ. ხელმოსმულას შესართავთან. თემის ცენტრი (სოფლები: ბ., ამაშუკეთი, ერეთა, ვაშლევნი, კვესრევი, მაქათუბანი, საქასრია, უბისი). ზ. დ. 480 მ, ხარაგაულიდან 28 კმ, ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 კმ. 557 მცხ. (2014).

სოფელში დგას სხვადასხვა ზომის რუხი ფერის გათლილი კვადრებით ნაგები IX-X სს. დარბაზული „კომანის ეკლესია“, აგრეთვე ყორე ქვით ნაგები შუა საუკუნეთა სავანის წმ. გიორგის ეკლესია.

---